


ქვემოთაღნიშნული  
საფარის ფასი



ტრესტი

განუწყვებელ  
 სწარმოო  
 ქვირაზე ბაღას-  
 ვლის ბაშო მუშა-  
 ობა არ სწარმოებს.  
 5, 10, 15, 20, 25 და 30  
 რიცხვებში  
 ტრესტის დირექტორი: *J. Jantseri*





დღეადის ფართოდ ცნობილია ყველა მღვდლებს სიმსუნაგე და გაუმადლორბა, თუ არას ვიტყვივით სხვა მრავალ მათ უმსგავსოებათა შესახებ.

მრავალი მკვლევარი ამ მოვლენას თავისებურათ წნადა, მარა ყველა ეს ახსნა-განმარტებანი არაღამაკმაყოფილებელი იყვენ.

დიდათ დამინტერესა რა ამ გარემოებამ, თვით შეუდექი გულმოდინეთ საკითხის შესწავლას და მიზეზების გამორკვევას.

როგორც მარქსისტი და მატერიალისტი, პირველათ ყოვლის უნდა გავცნობოდი თვით მღვდლების წარმოშობის ისტორიას.

ამ მიზნით შეუდექი „სახარების“ შესწავლას, მაგრამ გამოირკვა, რომ მღვდლები არსებობდენ, თურმე, სახარების შეთხზვამდის.

შეუდექი ისევ უფრო ძველი წიგნის, — „დაბადება“ ანუ „ბიბლიას“ შესწავლას, რომელიც ქვეყნის გაჩენის ამბავსაც კი მოგვითხრობს, არამც თუ მღვდლების გაჩენის ისტორიას.

აქ ჩქარა აღმოვაჩინე იმის მიზეზი, თუ რატომ დასჩემდა მღვდლებს ეს უმსგავსოება.

გამოირკვა, რომ ამაში მთელი ბრალი ედება თვით ღმერთს!

რომ ეს ჩემი მოგონილი და შეთხზული არ გეგონოთ, ამის დასამტკიცებლად მოვიყვან სიტყვა-სიტყვივით ამონაწერს თვით „დაბადებიდან“.

„...ეტყოდა უფალი მოსეს და რქუა: სულმან უკეთუ რამე დაავიწყდა დავიწყება: და სცოდა არა ნებსით სიწმინდეთა შინა უფლისათა, შეწიროს ცოდვისა მისთვის უფლისა: ვერძი უბიწო ცხვართავანი, სასყიდლითა ვერცხლისათა სასწორთავან სასწორითა წმინდითა, რომელსა თვის იგი ბრალი ქმნა და ცოდვა სიწმინდეთა შინა მისთა ზღოს ესე: მესუთედი შესძინოს მას, ზედა მისცეს იგი მღვდელსა მას, და მღვდელმან ღხინება ყოს მისთვის, ვერძითა მით ბრალისათა და მიეტეოს მას“.

(„დაბადება“ წიგნი გ. მოსესი, თავი დ. გვერდი 202).

აქ კომენტარიები ზედმეტია, მარა, ვინაიდან „დაბადების“ ძველი წმინდა ქართული ენა ეხლანდელ მკითხველისთვის თვის გაუგებარია, ამიტომ იძულებული ვარ გაუკეთო მას კომენტარიები გასაგები ენით:

განოღის, რომ თუ ვინმემ გულმავიწყობით რამე შესცოდა ღმერთს, ამ შეცოდების გამოსასყიდლათ მან უნდა მოჰგვაროს მღვდელს უბიწო კარგი ვერძი, რომელიც იმდენი უნდა ღირდეს, რა ღირებულებისაც ეს შეცოდება არის. ამ ვერძის მესუთედი უნდა დაჩრეს შემცოდეს და ოთხი ნაწილით კი მღვდელმა მოიღხინოს!..

მოდო და ნუ გახდები ამ პირობებში მსუნაგი და გაუმადლარი? თვით ღმერთი ავალებს მღვდელს, რომ მან ღხინით მიირთვას ვერძის ოთხი ნაწილი!..

იდევ მეტი!

შევ შემდეგ ავ სწერია:

„კაცმა უკეთუ ცოდოს, და ყოს ერთი რამე მცნებათავანი უფლისათა, რომელ არა ჯგერარს ყოფად, და ვერცნა, და ბრალ იქმნა, და მიიღო ცოდვა იგი, მოჰგვაროს მღვდელსა ვერძი უბიწო, ცხვართავანი, სყიდულით ვერცხლითა: ბრალისა მისთვის, და ღხინება ყოს მღვდელმან, კუმეტრებისა მისთვის რომელ ვერცნა, და მან არა იცოდა და ნიეტეოს მათ რამე თუ სცოდა ცოდვა წინაშე ღმერთისა“.

გასაგები ენით, რომ ამას კომენტარია უყოთ, — გამოოდის შემდეგი:

თუ ვინმემ ისეთი ცოდვა ჩაიდინა, რომლის შესახებ მან არც კი იცოდა, — ეს ცოდვა იყო თუ არა, მან იყიდოს უბიწო ვერძი და მიუყვანოს მღვდელს, რომელიც მოაღხენს ამ ვერძის მწვადებით და მიმგვრელს მესუთედსაც კი არ დაუბრუნებს!

რომ კაცმა თქვას, ეს უკანასკნელი შეცოდება წინანდელზე უფრო ნაკლებია და რატომ მეტი სასჯელი ეკუთვნის მას?

თენის შემცოდველს, — ეს სრულებითა გაუგებრობია, რაც უნდა კომენტარია არ გაუკეთო!

ცხადია მხოლოდ ერთი რამ: თვითმპყრობელობის და ბურჟუაზიულ კანონმდებლობის ერთი მუხლი, რომელიც ამბობს, რომ „არავის არა აქვს უფლება თავი იმართლოს კანონის არ ცოდნით“ — მთლიანათ ამოღებულია დაბადებიდან“.

ცოტა კიდევ ქვემოთ ვკითხულობთ:

„ცეცხლი იგი საკურთხეველისა ეგზეზოდეს მას ზედა და არა დაშრტეს და შეიმოსოს მღვდელმან მან სამოსელი სელისა, და ნიფხავი სელისა, შეიმოსოს სხეულთა მისთა, და აღიღოს შეწირული იგი რომელ ვანღრა ცეცხლმან ყოფლად დამწვარი იგი, საკურთხეველისაგან მისგან, და დადვას იგი მანლობელად საკურთხეველისა მას, და განიძარცოს სამოსელი მისი, და შეიმოსოს სხვა“.

ხედავთ! როგორ ასწავლის ღმერთი მღვდელს ვერძის შეწვას, რათა უმი ხორცი თუცელი არ ასტიყდეს მას!

არათურია ნათქვამი იმაზე, თუ ვინ უნდა მიიწვიოს მღვდელმა შემწვარი ვერძის შექმნაზე, — შემწირველიც კი დავიწყებულია.

ცნობილია სახარებისაგან ქრისტეს მიერ ხუთი პურით და ორი თევზით თორმეტი ათასი კაცის გაძღობა, — სინამდვილეში კი თითონ გამოძღვა და სხვებიც მაძლარი ეგონა!

ტყუილი კი არ არის ხალხური თქმულება: „მაძლარს მშიერიც მაძლარი ჰგონიაო“.

მზარეთულების თეთრი ტილოს სპეც-ტანისამოსიც მაშინ ყოფილა ღმერთისგან მოგონილი და ჩვენი დროის პროფემუშაკებს გემო-კვების კავშირიდან თავიანთი მონაბოვარი ჰგონიათ!

ყოველივე ამის შემდეგ ჩემთვის გარკვეულათ ცხადი შეიქნა, რომ მღვდლების სიმსუნაგეში და გაუმადლორბაში თვით ღმერთს მიუძღვის ბრალი.

ცხადია აგრეთვე ისიც, რომ მღვდლების, ტერტერების, პატრების, ქსენების, მოღების და ხახამების სხვა-მრავალ უმსგავსო საქციელშიდაც თვით ღმერთია დამნაშავე!..

მაშ ძირს იგი!..

ს. თ—ია.



— რა გაჩქარებს! გაივლის წმინდა და მი ვიდებ. — (თავისთვის): მეც მაგისტვის ვჩქარობ — წმინდის შემდეგ შენ აქ ვინ გაგაჩქარებს!




# ქრისტე პროპოკატორი



საღვთო წერილი თვით ამბობს და მე მსჯეით რაღაში?  
 ქრისტე რომ იშვა, ჩააწვინეს თურმე ბაგაში!  
 კიდევ კარგი, რომ არ მოხდა ეს ქალაქ პრაღაში,  
 თორემ გასწყლელდა ფეხი, ფაშისტს რომ აქვს წალაში.  
 პროვოკაცია, მგავსია, ქრისტემ ბევრი მოაწყო:  
 ხუთი ათასი ფუთი პურით რომ გამოაძლო.  
 ან ფეხით წყალზე რომ იარა დაუსველებლად,  
 ბეთანიიდან ვიოს ზურგს აჯდა დაუსვენებლად,  
 ერუსალიმში რომ მოაწყო ჩუმი სერობა...  
 ეჰ, ერთი სიტყვით, ვით მოვთვალო გაიძვერობა,  
 რაც ქვეყნად ქრისტემ ჩაიდინა სხვადასხვა ადგილს?  
 ქალაქ კანაში, საქორწილო ვახშამს თუ სადილს,  
 ის რომ დაესწრო და წყალი რომ ღვინოთ აქცია,  
 განა, ეს ქცევა ცოტა იყო პროვოკაცია?  
 (რამდენ მიკიტანს მისცა ამით მან მაგალითი,  
 შემდეგ ღვინოში რომ დასხემდა წყალის „ნალიტი“?)  
 გადასახადიც, შერჩა ამ გზით, პატრონს აქცივის!  
 ქრისტეს ეს ქცევა სინანულად, ახლაც აქ მიზის  
 და გული მტკივა, გული მიწუხს, ასეთ მის ხრიკზე!  
 კაცი, რომელიც არ იჯენდა ბუზს კუდის რიკზე,  
 ასეთ საქმეებს სჩადიოდა დღის სინათლეზე!  
 დღეს დაქვრილი მყავს ყველაში ვით ქურდი მთხლეზე!  
 მაგრამ ვბრუნდები დაბადების მისის საკითხზე  
 და ამ მოვლენას შავ ძაფეგვთ ვიხევე მე თითზე.  
 არა, რომ იშვა, რაღა ჯინაზე, ჩაწვა ბაგაში?  
 ნუ თუ მარიაშს ან იოსებს ჰქონდათ ბაგაჟი,  
 ხელს რომ უშლიდა ნაშობ ნორჩის თან ტარებაში?  
 მგავსია რამე რომ არ სწერია სხხარებაში...  
 ან რომც ეწეროს რაა მერე? მე შემიგნია,  
 რომ სახარება ეს უტვინო ზოაპრის წიგნია!  
 მხოლოდ ყოველი ესე იყო პროვოკაცია,  
 დემაგოგიით რაც რომ ქრისტემ შემდეგ აქცია!..  
 ვითომდა იყო ას პროცენტით ის პროლეტარი,  
 ხოლო მოძღვრება მისი — ჩაგრულთ ხსნა და ნექტარი!  
 ნამღვილად, ვიცით, ვინც მოიგო ამ მოძღვრებაში  
 და შეიყვანა თავი თავისი ტკბილ ცხოვრებაში,  
 ვინც ვაისივა ჭამით ჩუმზე და საჯიქო.


გამოიგონა რა ცხონება თუ საიქიო!  
 ეს იყვნენ: მეფე, ბატონები, მღვდლები, ხუცეები  
 ავანაკები თავით ცინე-განატყუცები:  
 მდიდრების ხროვა, ყოველგვარი ჰარამზადები...  
 აი, ვინ დარჩენ ამ მოძღვრებით პატივ-ნადები!  
 ღარიბებს, მწირებს, დაჩაგრულებს, მუშებს თუ გლეხებს,  
 ვისაც ცხონებით, აპურებდენ, აწმენდენ ფეხებს,  
 ხელათ: მოთმინება, სინანული, და ღვთის ვედრება...  
 პროვოკაცია ამას კიდევ სხვა შეედრება?  
 მოტყუებული დარჩა ხალხი მშრომელი მისგან!..  
 თვითონ ქრისტე კი... ცად „ააღლდა“, მოსული ცისგან!  
 არც კიბე აქვს თუ სხვა საბჭენი რამ ასასვლელი,  
 მზე თუ ჰპყვენს ლოყას, თუ არა და — წვიმა სდის,  
 სველი.  
 არც თოვლი არის დიდათ მშრალი. გამოსადეგი...  
 აბა, მეხი ხომ... მდიდრებს — თავში ცით მონაქექი!  
 ღარიბებისთვის რა საჩუქარა მისი ქუხილი,  
 როს ჰკლავს: სიცივე, შიმშილი, თუ სხვა რამ წუხილი?..  
 რათ უნდა ქრისტე, მისი მცნება, მისი ღმერთობა,  
 თუ ის ზის ცაში და იქიდან, ისე ერთობა,  
 როცა აქ ჩაგრულს კისრად აძევს მონის უღელი,  
 ზედ—მეფის ტახტი, მდიდრის ჯიბე, ხუცის მუცელი...  
 იჩოქე მათ ქვეშ და იკაკვე; გზაში, ყანაში...  
 არა, ქრისტეს აჯობს ერთი ვინტიც კი მანქანაში,  
 რომელიც ამ ტვირთს უმსუბუქებს მშრომელ ხალხს  
 დიდათ,  
 არის მის სვლაში თუ შრომაში მშველელად, ხადათ!  
 (მეფეს ტახტიდან გადუძახა, მდიდარს — ქარხნიდან.  
 ხუცესს საკურთხი მან მოუსპო აბა, რა ხნიდან!..  
 უნათებს ღამეს, გზას უმოკლებს, ტვირთს უმსუბუქებს...  
 დღეს ის ცრუ-ხატებს ეკლესიებს კი აღარ უღებს,  
 არამედ ავებს და აწმენებს დიად კომუნიზმს!  
 თვის მაგიერად, შეაბა მან გამძლე უღელში,  
 მეცნიერება მოიმარჯვა რა მტკიცედ ხელში!  
 ხოლო ღვთის მიმართ დარჩა იგი ეგზომ უხეში,  
 რომ ჰგმო: თვით ქრისტეც, მისი მცნებაც, მისი „ნუ-  
 გეში“!..  
 ნარი.

## „მ ი ზ ე ზ ი“



შიპრიპი: — ყოველდღე ვმუშაობ... როდის არის ჩემი დასვენების დღე?  
 გამგმა: — რა ვქნა, ჩემო კარგო, სახელმწიფო განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადავიდა!





— თინა, ხუთი წუთით შენი პატარა გვივიკო მათ-ხოვე, მუშკოვოში მივიღვიარ და ურიგოდ შემისვებენ! ასეც ხდება.

ღარიბად იყო ნიკო, იღებდა რაღაც გრამაშებს სამოსი დაფლეთოდა, ფეხზე იცვამდა ქოშებს. კაცი გამრჯელი, მარჯვე, ქველი, კეთილი გულით. იკვებებოდა პრასით და გამომხმარი პურიით.

ერთ საღამოზე, როცა მზე მთის წვერს მიეფარა, სახლში დაბრუნდა ნიკო, საღდაც აეღო ფარა. ამ დროს მეზობლის ქალი ტასო შევიდა მასთან და მიაწოდა ნიკოს ობლივაციის დასტა.

ერთი თვის შემდეგ ნიკო როს კითხულობდა ვაზეთს, მკითხველო, რაც აქ მოხდა თქვენც გისურვებდით ანეთს. ნახა—მოეგო ფული მის ბარათს ორას სამოცს. ოხ, აღტაცების წუთო, ოხ, ნეტარების წამო.

არ უჯეროდა თვალებს თუ მას მოგება შეხვდა; შემდეგ კერს სტუორცნა ქუდი, გახარებული შეხტა; სალაროს მიაშურა, თვალზე შვების ცრემლს სწვიმდა, და ათასები მის წინ ბზესავით გადმოსცვინდა.

ქეღაწი.

# „მეორედ მოსვლა“

მართალია, დღეს ქრისტეს მეორედ მოსვლა კი არა, პირველი მოსვლაც თითქმის არავის სწამს, მაგრამ ასე არ იყო წინედ, როდესაც სარწმუნოება მაგლაჯუნასავით იწვა მშრომელთა აზროვნებას.

საღვთო წიგნებში ბევრ ალაგას არის ლაპარაკი — ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ.

ქრისტე სიცოცხლეში გვპირდებოდა, რომ ის მეორედ მოვიდოდა ამ ქვეყნად.

მორწმუნეებს სწამდათ მისი დაპირება:

— სიტყვის კაცია, არ მოგატყუილებს“—ო. — და, მართლაც ელოდებოდნენ.

ელოდებოდნენ, მაგრამ ქრისტე არ სჩანდა.

•თასგვარი ჭორი დაიბადა მორწმუნეებში.

— დავიღუბეთ, თუ ხალხმა შეიგნო და რელიგია უარჰყო! — შიშმა მოიცვა ეკლესია და ბურჟუაზია.

და, იმ, მეტწამეტე საუკუნის პირველ ნახევარში (ძველსა და უწინდელს არ ვხეხებით) ამეტყველდნენ „წინასწარმეტყველება“, რომლებიც ხალხს უნიშნავენ მეორედ მოსვლის ვადას.

ქ. ვიურტემბურგში ადგილობრივ მორწმუნეთა ერთი ჯგუფი დარწმუნებული იყო, რომ ქრისტე მეორედ მოვიდოდა 1836 წელში.

პოლანდიაში ვიღაც შენცებებერმა სპეციალური გამოკვლევა გამოუშვა, რომ მეორედ მოსვლა მოხდებოდა გასული საუკუნის ოცამ წლებში.

ინგლისში იოსებ ვოლფმა 1822 წელს გამოუშვა წიგნი, რომელშიაც წინასწარმეტყველობდა, რომ „ქრისტე ამ დღებში მოვა“—ო. ამის გამო ინგლისში ქრისტეს შესახებდარი „საწიემო კომისია“ დაარსდა. ქრისტეს „შეგვიანდა“ მოსვლა, და ბოდიშის მოსახდელად ლენდერსმა გამოუშვა „ცხელად“ დაბეჭდილი წიგნი ასეთი სათაურით: „1843 წელში ქრისტეს მოსვლის შესახებ“.

ყველა ელოდებოდა ამ დროისთვის „ძვირფას სტუმარს“.

ეს დატა (1843 წელი) მორწმუნეთათვის საიმედო გახდა, რადგან უილიამ მილერმა მათემატიკური სისწორით გამოიანგარიშა ქრისტეს მეორედ მოსვლის ვადა. ის და-

ბეჯითებით ამბობდა, — რომ „ქრისტე მეორედ მოვა 1843 წელში და იმეფებს 100 წელიწადს“—ო.

დადგა და გავიდა 1843 წელი.

მაგრამ ქრისტე არც ამ დროს ესტუმრა ქვეყანას.

მილერს და მის თანამოაზროვნეებს კოვზი ნაცარში ჩაუფარდათ.

ისევე შეირყა მორწმუნეთა ლაშქარი.

— თუ მოდის, ბარემ მოვიდეს, რას იგვიანებს; თუ არ მოდის—და, რას გვითვლის — მოვდივარო! ტყუილად გვაცდევინებს!?

— ქვეყანა იღუბებოდა მეგონა, ყველაფერი გავყიდე და შევსჭამე! — გაისმოდა მორწმუნეებში უკმაყოფილო ლაპარაკი.

მორწმუნეთა დასამშვიდელად, მილერმა აღიარა თავისი „შეცდომა“ და გამოაცხადა, რომ გამოანგარიშების დროს მას შეცდა — ერთი წლით ნაკლები აჩვენა.

— დავგისახელე წელი და დღე! — მოითხოვეს მორწმუნეებმა.

— 1844 წელი 21 მარტი! — დაარწმუნა მილერმა მორწმუნეები.

მაგრამ ქრისტემ ვხლაც მოატყუილა ისინი — არ მოვიდა.

მილერმა მაინც არ გაიტეხა ინტიბარი და გამოაცხადა:

— მართალია, შემცდა, მაგრამ ქრისტე მაინც კარებზეა მომდგარიო, (ე. ი. ახლოს არის მეორედ მოსვლაო).

მილერის ერთერთი მიმდევარი (სწოუ) შეეცადა „გამოესწორებინა“ მასწავლებლის „შეცდომა“ და „აღმოაჩინა“, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლა მოხდებოდა 1844 წ. 22 ოქტომბერს.

მაგრამ, როგორც ყოველთვის, ქრისტემ ამ შემთხვევაშიაც მოატყუილა თვისი მორწმუნეები და ამ ქვეყნად მეორედ არ მოვიდა. (ანდა რა ჰქნას კაცმა? როგორ მოვიდეს, როცა არ არსებობს!).

ალბად, დღესაც არიან ისეთები, რომლებიც ქრისტეს მეორედ მოსვლას ელოდებიან.

331 ელოდენ.





— ვინ იტყვის ჩემზე, რომ — მო რწმუნე მღვდელიაო! განა ეს რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა არ არის, რომ ჩვენი ეკლესიის მთელი ქონება გასაყიდათ მიმაქვს?!

აღარ არის ჩვენი  
 შობა — ახალწელს  
 ყველგან იერიშებს  
 ეღარ გავუძელით,  
 აფსუსს, ნიკოლოზო  
 შენი გენერალი,  
 ისევ გამოიხისტეს  
 დამსვა თბილ ადგილზე,  
 გამგე მყავდა ძველი  
 მეგობარი კარგი,  
 დამსვა თბილ ადგილზე  
 დღეს ამიჯრეს ბარგი.  
 მათ გაუწყრეთ ქრისტე  
 რალაც ბოივადები,  
 რომ გამოიგონეს  
 შიშისაგან კვდები.  
 გამწმენდ კომისიას  
 არ გადურჩა მღვდელიც,  
 ჩემთან მსახურობდა  
 მოუთრიეს წელი.  
 ერთად რომ ვიყავით  
 ხალხის გამოწველი,  
 ჩავვაშხამეს შობა  
 და ახალი წელი.  
 თუმცა ანაფორა  
 მღვდელმა გაიხადა,  
 გადამალა ჯვარი,  
 ნღობა „გაინაღდა“.  
 დაიშოკლა თმები,  
 შეიკრიბა წვერი,  
 მეც ფერი ვიცვალე  
 ტრესტში შემოვძვერი.  
 მაგრამ გამოგჩხრიკეს  
 აგვიქნიეს ხელი,  
 დავოი მღვდელთან ერთად  
 გენერალი ძველი.  
 არ ვიყავ ხნიერი  
 ცოლიც მყავდა კონტა,  
 ეზლა გამითხოვდა  
 სხვასთან არობროხდა.  
 ფოფოლია ნოქარს,  
 ერკობისა გაყვა;  
 შეგვრჩა ბირჯვრის წერა  
 და მუღამ წყლის ნაყვა.  
 აფსუსს, ნიკოლოზო,  
 მფარველო და მამა,  
 შენთან გავგიფრინდა  
 მუქათათ პუროს კიმა.

მანი.

### ღვთისმშობელი ბუასილის წინააღმდეგ

„რეკლამა ვაჭრობის მამოძრავებელია“, — იტყვიან ხოლმე. ბურჟუაზიულ ქვეყნებში ვაჭრობის წარმატება რეკლამაზეა დამოკიდებული. რეკლამისათვის ყველაფერს გაიშვებენ ბურჟუაზია. წარმოდგინეთ, სარწმუნოებაც კი გამოიყენა კაპიტალმა რეკლამის საქმეში. მაგ. ერთმა მადრიდელმა (ესპანეთი) მეკონდიტერემ გამოიყენა შესაფერი სურათით კომფეტები: „ქრისტეს გოლი“ და ღვთისმშობლის სახელობის სხვადასხვა ტკბილეული. ერთმა კომერსანტმა — მეაფთიაჭემ გამოიგონა სპეციალური მანძი,

რომელსაც ასეთ რეკლამას უკეთებენ: „ღვთისმშობელი — ბუასილის წინააღმდეგ“. (აღბად ასეთი რეკლამა იმიტომ მისცა, რომ მო რწმუნებმა ეს ავადმყოფობა ემართებათ ეკლესიაში ჯდომისაგან წირვა - ლოცვის დროს). სამღვდლოება ალაპარაკდა ამ ამბის წინააღმდეგ, მაგრამ, მხოლოდ იმიტომ, რომ „ხმარების შემდეგ სახვევი ქაღალდები, რომლებზეოც დახატულია სარეკლამო წმინდანები, ფეხით ითვლება და ისრისება“. მხოლოდ ამის თქმა ვაბედეს. კიდევ უკეთესი ამბავი. ბაროზში ერთ - ერთმა გამოცემლობამ გამოსცა ბიბლიის ზოგიერთი

მოთხრობები, რომლებიც თავისა პორნოგრაფიული შინაარსით არ ჩამოუვარდება ბოკაჩოს „დევამერონს“. ეს მოთხრობები შინაარსის და მიხედვით დასურათებულია უწმინური ნახატებით. გამოცემლობამ წიგნს ასეთი რეკლამა წარუძღვარა: „ბიბლიის ახალი გამოცემა. ერთად - ერთი წიგნი, რომელიც დაწერილია თითონ ღმერთის მიერ“. წიგნს დიდი ტირაჟი პქონდა. სამღვდლოებაც კი სიამოვნებით კითხულობდა.

ბ.



(ძირულის)თვის



აქ მსახურობს ოლიგარქი (ოკროშინი არის გენერალი), გვარდიამი ყოფნის დროს მან ხალხს აღინა ცრემლი ღვარათი. აღმასკომის თავმჯდომარე (შეიძლება არვის სჯერა) სიღარიბის მოწმობა, რომ შეძლებულ გლეხს დაუწერა. რა ვუყოთ, თუ ამით იმან ღარიბები ვადიმტერა, მარა-გზებზე სულ არ ზრუნავს, ოდელია რაშო რერა... აქ ნოქრები ფართალს მალვენ, ეხლა გვინდა, გვინდა შეველა, ვაჭრობაა ზმირად ღამით, ოდელია დელი დელა. გამგე ძლიერ გავვისუქდა... ის დაძვრება, როგორც მელა, რით გამდიდრდა, რომ ტუილისში მან იყიდა სახლი ხელათ? მსახურობენ შავი სიის ვაჭრები და გაიძვერა. ტარტაროზო, ამ ბნელ ძალეებს აუტეხენ გულის ძვერა. ძირულებლი თაღა.

## კაცი პორტფელით და... ჯვრით

— არა, აწ, აქ, ამ ბიწიერ ქვეყანაზე აღარ იდგომება, — გადასწყვიტა მამაო ნიტიფომ და განიზრახა მეორე სამყაროში გადასახლება.

სადღაც იშოვა მან ნახევარი შუშა იოდი, ვკონებ საწირავის ფასად გამოართვა ადგილობრივ ფარმაცევტს, რომელიც თითონ იყო უწინ ღვდლათ და შემდეგ ანაფორა ფარმაცევტის თეთრ ხალათზე გადასცვალა.

— ჰო-და, ამ ქვეყნად რაღაი აღარ მედგომება, მოდი ამ იოდს გადავკრავ და საიქიოს ვესტუმრები მეუფეს, — გადასწყვიტა მამა ნიტიფომ და იოდიანი შუშა წინ დაიღო.

— კი მაგრამ, ეს იოდი რომ დავლიო, ვაი თუ იმ ქვეყნად არაფერია მართლაც და იქაური სამოთხის მოლოდინში აქაური ჯოჯოხეთი დავკარგო!

— შეყოყმანდა ნიტიფო.

— ვთქვათ, რომ საიქიოს მართლაც არაფერია. ხომ დავრჩი კაცი ხახამშრალი. ეს ბოლშევიკები ამ ამბავს, რომ გაიგებენ, ხომ სიცილით დაიხოცებიან... მერე კიდევ აქ არც ისე ცუდია ცხოვრება; თუ კაცი სბჭოთა პლატფორმაზე დადგები, ცოტა ადგილსაც მოგცემენ და თუ აპარატის წმენდას ვადარჩი, შეიძლება თანდათანობით დაწინაურდეს კიდევ!

— მე რომ ახლა ეს იოდი დავლიო, მაგით ვის რას დავაკლებ. ისე კი შეიძლება მომავალში დრო გადაბრუნდეს და მე ისევ აღვადგინო ძველი დიდება... აიცი რომ არ მოადეს, ვანა ცოტა არიან ვაკრეჭილი ღვდლები?

ნიტიფომ იოდი გვერდზე გადადგა და გასწია სოფლის დალაქისკენ, რომელიც ერთ და იმავე დროს ასრულდებდა დალაქის, კბილის ექიმის და დოსტაქარის როლს. ეს ნურავის გაუკვირდება: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში ბევრი ამთავრებს სამკურნალო ფაკულტეტს, სოფლად მუშაობა იშვიათად მოუნდება ვისმეს და ამიტომ სოფლის პაიკიანებრებს, სოფლად ექიმების ნაკლებობის გამო, ჯერ კიდევ თავისუფლად შეუძლიათ იქსრონ დოსტაქრობა და კბილის ექიმობა.

— წურბელა ვინდა, მამაო, თუ კბილის ამოღება, ან იქნება სისხლის გაღება გნებავს? დანა ისე ვალესილია ხლდა...

— არა შეილო, ვაკრეჭა მინდა... დალაქი (იგივე დოსტაქარი და კბილის ექიმი) კი ნალამ ვაგაჟდა. იგი სრულიად არ მოელოდა ასეთი სენსაციას.

— ესე იგი, ვაკრეჭა?

— ჰო, შე კაცო, ჯერ ღვდელი არ ვაკრეჭა თუ? რაც შენ ხუცებს კრეჭ, რაღა უნდა გიკვირდეს!

— მამაო!...

— არავითარი მამაო, აქ ყველა ამხანაგები ვართ! ერთი კარგათ გამპარსე თუ ხათრი გაქვს.

დალაქმა შეასრულა ნიტიფოს დავალება:


ეს უკვე აღარ იყო გრძელწვერა მამაო ნიტიფო; ულვაშები ინგლისურ ყაიდაზე შეიკრიჭა, ვადიანარსა თმა, ბოხჩაში შეხვეული ხალათ-შარვალი ამოიღო, კეპკა ამოაყოლა და ტანისამოსი გამოიცვალა. ახლა უკვე განცვიფრებული დალაქის (იგივე დოსტაქარის და კბილის ექიმის) წინაშე თითქმის სოფლის პაუხისმგებელი აქტივისტი იდგა.

რა აკლდა ნიტიფოს? სულ უბრალო რამ: ვახუნებულ პორტფელი, ტყავის „ტუქურკა“ და პოლიტცოდნა, არც ერთი ამ სამი ატრიბუტის შექენა არ გაუძნელდებოდა ნიტიფოს, როგორც თითონ ფიქრობდა, თუმცა არც ისე ადვილი გამოდგა განსაკუთრებით პორტფელის შოვნა: ვინ გითია, რომ ახლა პორტფელს შეეღებო? ახლის ყიდვის თავი კი, თქვენ თითონ მოგვხსენებთ, საიდან ექნებოდა უპრევილთა დარჩენილ მღვდელს, რომლის ეკლესიაში სოფლის კლუბი იყო გამართული!

ნიტიფომ არც აცივა, არც აცხელა, სულ მოკლე ხანში კოოპერატივის ნოქრად ამოჰყო თავი, ხოლო როცა იქიდან მოხსნეს, ქონ-სამკითხველოს გამგეობა მოინდომა, მაგრამ არ დაუშვეს, როგორც ანტისაბჭოთა ელემენტი. ამიტომ ნიტიფომ საკრედიტო ამხანაგობაში მოიკალათა და იქ იყო მანამ, სანამ ფული არ შემოეკება და აი გამოაბრძანეს.

ბოლოს ნიტიფო დოსტაში შევიდა ტელეგრაფისტის თანამშემწეთ, ხოლო როცა აღარც იქ დააყენეს, ქალაქში წავიდა და მოანგარიშის ადგილი იშოვნა. ერთხანს იყო იგი ამ თანამდებობაზე და ბოლოს სამნეო ნაწი-





— რატომ ყოველთვის შენი ვირი მავ ეკლესიის  
— მღვდლისაგან ნაყილია... ჯერ ვერ გადავაჩვიე...  
გალავანთან გაჯიუტდება და ფენს არ იცვლის?  
მიჩვეულია აქედან ტაბლების ზიდვას!

ლში გადავიდა, თუმცა იქიდანაც მოხსნეს, როგორც არა  
საიმედო პირი.

ნიტიფომ კიდევ იშოვა სამსახური, საწყობის გამვის  
თანაშემწეობა, მაგრამ აპარატის წმენდამ მოუსწრო და  
მგლის მოწმობა მისცეს.

როგორც უმუშევარმა, ნიტიფომ შრომის ბირჟის მი-  
აკითხა, მაგრამ არ აიყვანეს აღრიცხვაზე, როგორც სო-  
ციალურად უცხო ელემენტი.

— მივქარე იოდი რომ არ დავლიე, — იტყვის ხო-  
ლმე დაღონებული ნიტიფო, — იქნებ საიქიო მართლაც  
არსებობს და ახლა იქ შტატი უკვე იქნება შევსებული.  
თავის დროზე რომ მიმეკითხა, იქნებ დიაკვნის ადგილი  
მიანც მიმელო.

დადის ახლა ჩვენი ნიტიფო უმუშევრად.

თქვენ, ამხანაგებო: გამგებო, დირექტორებო, მათო  
თანაშემწენო, კოლეგიის წევრებო, მმართველნო და მათო  
მოადგილენო, იქნებ კვლავ მოგაკითხოთ მანდ ადგილის  
საშოვნელად და ვერ გამოიჯნოთ, რომელია ეს კაცო: ცნო-  
ბისათვის გატყობინებთ, რომ მას ახლა კვბაკც ახურავს,  
პორტფელიც უჭირავს და ერთი სიტყვით საბჭოთა ელე-  
მენტი გეგონებათ, მაგრამ ტყავის „ტუჟურკის“ ქვეშ ნა-  
ღვდლვევი ჯვარი კიდია და თავის ტვინი „მამაო ჩვენო“-ს  
და „ღირს არს ჭეშმარიტად“-ის ნახაზებით ისე აქვს დაბ-  
ზარული, ისე, როგორც დაბზარულია ზოგიერთი ჩვენი  
ორგანიზაციის მიერ აგებულ ახალ შენობათა კედლები.

ლახვარი.

## ამაღლება

(ქუთ. ოლქი)

ბანკის მოლორე არის  
ტყეშელაშვილი შალვა;  
სამსახურში ვერ ნახავთ,  
უყვარს ჰაერზე გავლა.

—:—  
აფთიაქში ბაჭუა

ძვირობს ერთი ათასად,  
თურმე მაჭრებს აყენებს  
და ყიდის მაგარ ფასად.

—:—  
დრამწრეს სძინავს ისევე,  
ბოლთაძეს არ სცალია:  
„დატვირთული“ საქმიითა  
ის იღლება ძალიან.

გლენჯომში მღივან ქალთან  
უყვარს ხელის ფათური;  
მისთვის მუდამ მზათ არის  
ვარია - ხაჭაპური.

ილიკო ხარაზაძემ  
ბევრი ფული შეკრიბა,  
რომ მოეწყო საღიო,  
მაგრამ მიკიბ-მოკიბა;

რემედასის ფულეიბი  
ჯიბეს ჩაიხროილა,  
და ასე მოვანსენეს  
კიდევ გაბთილა.

რწმელი.





### თანამდროვე ანღაზები

- ურუმეზიარ ღერე სამსახურში არ მსურვლიყო და გვიარსის მშობებებს იხოვებო.
- გაბტებს გამებაც მაგარს, ცრებელი ჰელის ტუ-რული.
- გაბრებებს მიმტენ და საქებს უფრო გაგვიბრ-ებები.
- ვინც თავს თავდაზღვედ უჩვენებს, ის ავტოკო-რის თავმჯდომარეობას მიიღებო.
- ვინც გამბაც ცუდ სიტყვას ტყარის, მას თავზე უ-ჩას დიდებო.
- მოღრარი სიხარას, სიხარათა, ვანახალი გამოსი-ხარათ.
- დარაჯება სოჯას: სათუთელი ბეგრის მაქებს, მაგრაც მ-ძისა სამსახურად დახოხონის მშობნ მაქებს საცემო.
- დღევანდელი კაცობრის დაზმარება მარტყრის ხე-ლოდელს სახანაჯრის შოჭენს დაპრებამო.
- ერთი საღურას დული ცბრა მიღრარენ გაყოთ.

### თავის ქება კიტრათ, კიტრი ჰაჰემათ\*)

მუდამ ბერის ახირებული ფანტაზია მომილიდა თვე-ჟე, მაის არის დროს დევილად არ მომცელია — ეფრემისტ შეწყლიდა გახალბო.

მოვლად იტვიზობრის რეკლამაციის მადეგებს ის, რომ სება პოლავი სოცტენი მოვლემობა გავიროკულუ-ბასთან ერთად — მეც ეფრემისტ შეწყლიდა გავლად. თოქცე ღღანს გამცეცებელი, — არც ვარ შერჯობა მეჟუჟ, მაის არც გამივიდა.

რომ გამგებლობილი საპტრო ლოცება, ხანდაზნ შერჯობი მატბრა დალუტკონს, რომლებიც ისტებოდენ სებადასაფე გამცეცებელი.

მეშეღი უშეღილი მათ თავს და ვაჰეღვი ცოცხლ წინ-განგებდ. დღევანდელი გვიმოკვლელი მკინდა თიხი ასეთი კრე-ბული: „ცდრელებიო ხიღლი“ (რომელსაც ფაიკი სსა-ცოტა აქვს — და სუთი ათასი მანეთი), „ელამი ხარჭი“ (ღირს ერთი მანეთი), „ახალი აღმოქმა, დემპრ მენდრს თქმა, ხ. თოდჩიას — თიქენა“ (ესათ თთა მანეთი) და „გმა-ბასხი — წაღწერაზედა ამბები“ (ღირს ათი მანეთი).

ახსნი მკინდა ვადამცემული სახელგამის სარკობს და წინების მიახსიების ვასეფიკელბოთი, მაგრამ, როგორც ტყუამა, ამ სარკობს ვამევე და მალაზიების ნორმები ღღი-ნა და მენჭერების მოწონებენ ხალხს უფად იყვენ და შერ-ჯობისად ვრებულად და მეთავაღბისათვისა ჩინ ამბურე-ლაფობი და ამბურეღვიტობის წინააღმდეგის მიწოდება.

\*) ეს სიბრბოლს არ შეეფერება! — წაღწერა კიტრი შ-ურზე ნაკლები არ ღირდა!.. შენიშენა ახთი - ამწეობისა.

### სააღმარკობის სიღვინო

მუღმამ დაჩარბება სსინაში დახოლო დავიწყურარი, რომ, ხატრდოვ, შენი თვალები გამარწყინდენ, როგორც ცისკარი.

ეს ამავეი აღბანა მოხდა მანამ, როდესაც პირველიად ვამახბებდა ხელია მონეტა. 1930 წლისათვის ვაჯე „მუ-შა“-ზე, ჰქონდა „ბარბაროსნი“-ს დაძებობი.

მალევე ცხელი, რა ვანალი, უჩეს ნაფეხი, ნახეფობი: „მეშხა“-ს კანტრას მიგვიართობ: — ვაღლის ჰქონდა რას მხებვი?

რა უნდა უფრას გულითად მადლობას და თანაფრინ-ბის მებუ? მან კარგად იცის, რომ „მუშხა“-ს კანტრას მი-ღობდა ხელის მონეტა 1930 წლისათვის ვაჯე „მუ-შა“-ზე, რომელიც უფროს დამტებობა მოყვანა ურცხ-ბი „ბარბაროსნი“-ს.

მინთილად მოხლოდა, იხი ციბი, ტარკობების ენახე ტრება, ცალ-ცალკე და ვეუდო ტრიალ — სიღვინოდ და ნებარება.

ტარკობების სანჯა ცალ-ცალკეე სახელდათი საქევე და ერთობ — მათ უწებეს, ურცხობა და ვახიხობი ხელის მონეტარს ფასს ვაფიხობდა კი ცალ-ცალკეე და ი. მიწო-ნიწყოლადღე რეჭობდა.

შუამეღი, წაღზე, არ დაჯავებდა ვანუხელი ღირსანობი: „ბარბაროსნი“-ს გამოვიწერ, ჩატრებადის სივსაში.

ხელის მონეტა ვაჯე „მუშხა“-ზე („ბარბაროსნი“-ს დაძებობი) მიღება მოვიერ კანტრათნი (მეშხაჯი).

მუხტებათი ასეთი ახირებული პირიბებისა, მე ვანიც ვადეკრტილ და გამოვეცი მეხტებე წრეგათი. — დაზადებე რჩე მიზალა“ (ფასა ათი მანეთი) და მივეცი იმავე სახელე-ლიდა და ვახვილებოდა მალაზიებისათვის დასარჩებე-ლიდ და ვახვილებოდა.

მუხტებულები ვარ, რომ ამ წუგინს არ ირევე სეგე-ბის უნეტი, ვინაიდან მასზე მეთავაღბებობის ვანდამ ცა-ტარბობს!..

მახე ვახვილენ სახელგამის სარკობის ვამევე და მიღე-ნიშობა ნორმებს „დახმდება“-ს ასე მოვლემის, როგორც ვაჯე ჩვენამტებს ვახვილებოდა! — მათ დახმდება ან-ვეველენებს „ტარბობი“.

დახვილობენ მებთიკეობებს, რომ თუ „დახმდება“-ს, ნ სება ჩემს წინააღმდეგის მოხოხონის ღირსი უფრო მოიბო-ნეკონებისა, — არ დაუფტკონს მთი და თითონ მომე-ღობ ღღიბას წყენი.


თუ დახმდება ურვაფობი ჩაიაროს, —ჯერობთ „ტარ-ბობისა“, რომელიც მიღებს სასწრაფო ზომებს დამა-ხმების და დამპლეულის აღმოსაჩინათ.

ურვაფობი ირეება მხოლოდ „სტრელებიოთი სიცილის“ გება, ვინაიდან ის ყველაზე უფრო მჭირი ღირსად და ყვე-სამდე არეუ გვიყენებ.

მოკავებობა მოწყურნობა მუხტებულობის მიღე-ნული ზომები, რითა დაზადებამ ანუ მიზალია“ მკინ-ბის სსაღვურების კოისკუმობიდა იყიდებობის ტარბო-ნებისათვის კი — „შობის“ წინების მიახსიება.

ს. თ. ია.

ფერ. „პაზროქანი“-იანს



ღმობოცა — ცეს... ეს ჩემ ჩემი უარყოფა!

### უბინათო დარჩენილი



— გამოვეყარე გარდა... უბინათო დავტებოყდა!

### თანამდროვე ანღაზები

- ერთი ფუნჯადაც ვამე მეოღს დაწესებულებას იხე არტეც, რომ თახი ჰყვიანი ვამევე ვერ გამოასწორობ-ბან.
- ეს ჰყვიანი პროფესორის კებობიბა: ზოგი ავიღს და ზოგი ჩამოვიღს.
- ვამფლანგული იმდენი არც ვაგულანავს, რამე-ვის მოიწვინდა არ შექობის.
- მოციფანს და მუხტის-მჩარბებულის შუა მენამქანე ქალბ რომ არ იჯვლებ, მუციფანი და საქმის მწარმოებელი ტრამანების ჩამოსარჩებობი.
- მიციფანი ზის და ამოქარებებს, თავი ღღიანში ჰგვონი, ხელუხლებელი საკმენი გათავებულად მგვონი.

ჩიდობა.

3936ი.



# მღვდელ-მოლოზანის მიწერ-მოწერა



## წერილი

ჩემო სულის კოკობო, გულის მა-  
ლაპო ნინო.

ისე მებაღისება შენსკენ წამოსვლა,  
რომ ორი ვერსტის გამოვლას ხუთ  
წუთში ვასწარებ.

როცა ნაწირვეს მონასტრიდან შინ  
ვბრუნდები, მაშინ კი შენი მოშორე-  
ბით დაჯავრიანებული ისე დაზარა-  
ბით მივდივარ, თითქო ათი ფუთი  
ტვირთი მკვიდოს ზურგზე, ფეხები  
უკან მჩრება და ორი ვერსტის გავლას  
ხუთი ნიშტის ნაცვლად ორ საათს  
ეუნდები.

რა ბედნიერი იყო მე და შენთვის  
წარსული ხუთშაბათი, ჯერ გემოი-  
ნათ ვითოხლავეთ ალაპში. მერე იქი-  
დან ტყე - ტყე სულ ხელგამოშობი-  
ლი „პადრუჩკიანათ“ მოვდიოდით  
ერთი - მეორეზე გაღაზარებული...  
მე იმ დღეს (ჯიხით განგებ მიტომ არ  
წამოვედი, რომ მინდობა იმ დღეს  
„პადრუჩკიანი“ სიარული შენთან,  
ჩემო სულის ყლაპიტონო, და თუ  
ღმერთი შეგვეწია და თუ კიდევ მოკ-  
ვდა ვინმე, სოფლებში, სულ ქვეი-  
თად ვივლი შენთან.

ნინო ჩემო, უბრალო მადლობით  
ვერ გადგინდი იმ ამას, რომელიცა  
რომა, რაც შენ ამავი დამიდევინა და ბე-  
სარიონ დეკანოზი გამაშავებინა სი-  
ნოდში და ჩამომამორე. ეპისკოპოზი  
დავითი გულნაკლულია ჩვენზე, მაგ-  
რამ კათოლიკოზი ჩვენ მხარეზეა  
(ფეშკაშებს და პურ-მარილს თურქე  
ბევრი შეუძლია).

ხო, რა უნდა მეტხოვა შენთვის და-  
მავიწყდა: რომელიცა რომა მარიობას  
ქიათურიდან მე და შენ რომ საწირა-  
ვი და საპანაშვილო სამი ტლიკვი ჩერ-  
ხავეცა მივიღეთ, მაგ კოკობ სულს  
გაფიცებ, ბესარიონს არ უთხრა, თო-  
რემ გული მოუტვა. რაგა გამბედრეთ  
და ჩემი მრევლის შემოსავალი თქვენ  
რაგა იტუცეთ ჯიხეშიო.

კომუნისტების მართალს ამბობენ,  
რომ ცხონება და წაწყმედა ზეცაში  
არ არის, არამედ ამ ქვეყნად არისო.  
ნეტ ასე ვფიქრობ: ზეცაში სასუფე-  
ველი და ჯოჯოხეთი მართლაც არ  
უნდა იქნეს. ნამდვილ ვატყუებთ  
ხალხს და, მე და ჩემმა ღმერთმა,  
როცა მე და შენ, რომელიცა რომა,  
მარტო დავიარებით „პადრუჩკიანათ“  
მოფარებულ ტყეში, მაშინ მე და  
შენთვის სამოთხეა ეს ქვეყანა, აბა რა  
ჯანდაბაა!

ნუცკო, ჩემო სიცოცხლე, ჩვენ  
სოფელ მღვიმეში ავადმყოფები  
ბევრი არიანო. თუ იცი ის ოხრები  
აღარაიენ კვდება? რაგა დავიჯერო,  
რომ ყველა მორჩეს? ხანდისხანა ეი-  
ცანყველ ხოლომე მღვიმეში და ეკ-  
ლესიის ვალაყანში თუ ვინმეა ახალი  
დამარხული მკვდარი, გამოარკვიე,  
თუ ვინ გაბიდა უჩვენოთ, უპანაშვი-  
დოთ, წეს აუგებლად და უაღაპოთ  
დამარხვა, შერისხე და შეაჩვენე —

რატომ წაგიწყმედიათ მკვდარი-თქო.  
იქნება ერთი გვაქვლებოხ.

ხომ გახსოვს აბო წინეთ კომსო-  
მოლა ბიჭა ვანია ბიშნიაშვილმა ოთ-  
ხნოცა წლის მამა ქირიანი ხარივით  
ჩაავლო წეს აუგებელი მიწაში; კომუ-  
ნისტების შიშით. მაგრამ რომ შევა-  
ხერზე გემოზე და აუხსენი, რომ წესი  
თუ არ აუფე და მსუქანი ცხვარი თუ  
არ დაუქალი, მამაშენი წაწყდება და  
შეგ კუპრიათ ჯოჯოხეთში ამოყოფს  
თავს-თქო, იცოცხლე ისე აუგებლად.  
მე და შენ ღამე ჩუმით მიგვიყვანა მა-  
მის საფლავზე და იმ ღამეს კარგი  
მსუქანი ცხვრითაც ვავიშინებდით.  
თანაც ერთი ჩერნავეცი ბრაწივით  
ახალი მოგვცა.

მარტო მღვიმეში კი არა, სხვა  
სოფლებშიც ადევნე თვალ-ყური,  
რომ უჩვენოთ მკვდრები არ დამაო-  
ხონ და თუ ეშინიათ კომუნისტებია,  
ღამ-ღამე ვიაროთ მე და შენ გაღა-  
ზარებული და ჩაპადრუჩკებული.  
(უკეთესიც არის).

ილოცე ჩემო ნინო, რომ ღმერთმა  
მკვდრები არ მოგაკლოს. მეც ამა-  
ხშირად ვლოცულობ, ეგებ ვიქალე-  
ხოთ და ჯიხეებიც გავიშინოთ უკ-  
ლით.

ამბობენ ომიც მალე დაიწყებაო.  
ომერთაც ქნას, ბევრი მკვდრები იქ-  
ნება, მერე უყურე, რამდენს ვითო-  
სლავებთ მე და შენ ალაპში...  
გწერს ნამდვილი სიყვარულით პუ-  
ღამ შენთან და დღე და ღამე თუალ-  
წინ მდგომარე მღვდელი დიომიდი  
პრაწაძე.

სექტემბერი, 1929 წელი — ქიათურა.

## პასუხი

ქვირფასზე უძვირფასესო და საყ-  
ვარელზე უსაყვარლესო დიომიდე.

მივიღე შენი საიდუმლო ბარათი.  
შენი არ იყოს, გულმა ძვერა და ატლ-  
მა შფოთვა დამიწყო, როცა ხელი  
მოკვიდეთ და გულში ჩავიხუტე ჩენი  
წერილი.

მღვიმეველების სარჩარში მატომ  
ჩავერთე მეც დეკანოზის ბესარაჟას  
საწინაღმდეგოთ, რომ მე შენ უფრო  
მეყვარახარ და კიდევ სიკვდილადი  
მეყვარები. ბესარიონი ჩვენთვის ზედ-  
მეტია. მე და შენ ხელს თუ შეგკა-  
ლის და შემოსავალში დაგვაზა-  
ლებს, თორემ მისი წირვა - ლოკვა  
არაფერს არ შეგვმატებს.

მართალია, ჩემი ხელით გამოიკ-  
ხვარმა ხაჭაპურებმა, შენმა მონა-  
ჩულმა ქათამებმა და ინდაურებმა და  
შენმა ლალივით წითელმა ლეინომ —  
პირდაპირ სასწაული მოახდინეს ობი-  
ლისში — ბესარიონზე უარი ვათქუ-  
ენით სინოდის თავმჯდომარეს, მაგ-  
რამ, ნუ დაგავიწყდება, რომ მათო  
ფეშკაშებსაც ნუ დავაბრალებთ ამ  
სასწაულს, არამედ მის გასაშავებლად  
კათოლიკოზთან დიდი ყალბი ჯამუ-  
შობა გავწიე და ბევრი საწინააღ-

დგეო ჩავაგონე. თუშეცხლას მას თუშეც-  
ხვური ცოდვები ბჭებს — მას მას ხვე-  
რომ შეიი გულისთვის სულის წა-  
ყმედასაც აღარ დავერიდე. მე, რამ  
არ ჩავრევოდი ამ საქმეში, შენ აუ-  
ცილებლად მოვაშორებდენ ჩვენ მ-  
ნასტერს.

მარიობას, რომ სამი თუმანი ავა-  
ლეთ, ბესარიონის მრევლიდან, ე. ი.  
ქიათურიდან, ამას მე ბესარიონს ლი-  
ხსაც არ ვეტყვი, მაგრამ ელენაჩკას  
ერთ ფუთიანი ბოქლომი რომ დაა-  
გება ენაზე, მაინც ეტყვის ბესარიონს.  
(ეს ხომ ჩემი ბრალი არ იქნება).

მემღური, რომ მარიობას საღი-  
ლათ ვეღარ გავწიე. ამისი მიხეზე  
უშთავრესად ის იყო, რომ იმ დღეს  
მარხვა გეტონდა, შენ კი ცხვრები და  
გოჭები დაგეკლა და სტუმრუქს  
ხორცს მიართმევდი და ჩემი ჩამოა-  
ლა მაშინ ულაპანო იყო. ეხლა კი  
ისეთ თავისუფალ დროს გავწიევი, რამ  
უფრო მეტს ვისაძრევებთ.

მართალს ამბობ, რომ მე და შენი  
ერთად სიარული ტყეში „პადრუჩ-  
კიანათ“ ძალიან სასიამოვნოა. (კეტი  
რა შეგვჩრება).

მონასტრის დაკეტვის ნუ გეშინია,  
და თუ მაინც დაკეტავენ, — რა გვი-  
ქირს, განა ცოტაა ჩვენში უმღვდლო-  
უღიაკნო ეკლესიები? მთელ შემო-  
იმერთში მე და შენს მეტი მღვდე-  
ლი და დიაკონი ხომ მაინც აღარასად  
არის! მე და შენ დაგვჩრა ბურთი და  
მოიდანია.

მეც გეთანხმები იმაში, რომ სა-  
მოთხე და ჯოჯოხეთი თუ არის, მარ-  
თლაც, რომ ისეც ამ ქვირფად არის და  
ზეციერი არც არაფერი მე მწამს. შენ  
მაინც ნუ აყვები კომუნისტების ლა-  
პარაკს. ილაპარაკე რომ საიქიოს სა-  
მოთხე და ჯოჯოხეთი არის-თქო,  
თორემ კუქსა და წელებს გავვიშო-  
ბენ სიმშლით სოფლები და არც  
არასფერს მოგვცემენ, თუ არ ვატ-  
ყუილით ისე, როგორც დღემდის...

ამ ოხერ მღვიმეში არაიენ კვდე-  
ბა. რაშია საქმე? ასეთ შემთხვევაში  
ღმერთი ჩიენ უფრო გვივიწყებს თუ  
იმით, ეს კი აღარ ვიცი.

პატარა ხანი წო შეგიშინდება გუ-  
ლი. ლეთის მადლით თითო-ორილა  
მკვდარი ჩვერეში ყოჩილთვის გვეყო-  
ლია და გვეყოლება.

წოიოლები ხშირად მომწერე ხოლ-  
მე. მხოლოდ სიდრთხილით, თო-  
რემ, რომ ვინმეს ჩაუფარდეს ხელ-  
ში — „პრიამათ“ „ტარ-ტაროზში“  
ჩაგავლებდენ და ჩვენ საიდუმლოებს  
მთელ ქვეყანას მოფენენ.

გწერს შენი ერთად - ერთი ერთ-  
გული, ერთად - ერთი პატარისმცე-  
მელი და მოსიყვარულე დიაკონი —  
მონაზონი ნინო ამაშუკლისა.

სექტემბრის 15-ს, 1929 წელსა,  
წერილებს ხელში ჩამგდები აპსუღი.



ლომხალი  
ლომხალია

არის ერთი წიგნი „დაბადება“, ანუ ბიბლია, რომელშიაც ქვეყნის შექმნის ამბები მოთხრობილია. ამ წიგნს სხვანაირად ეწოდება „საღვთო წერილი“, ან „სიტყვა ღვთისა“, მაგრამ მიკროსკოპითაც რომ ეძიოთ ვერსად ვერ ნახავთ „უფალ საბაოს“ ხელის მოწერას. მის ძაგვიერად ხან დავითი აწერს ხელს (მხატვარი ღონი არ გეგონოთ) ხან მოსე და ხან სოლომონი. მოდი და ნუ გაკვირდები კაცალი კაცი!

გამოიძის, თითქოს ყოვლის მცოდნე ღმერთი წერა - კითხვის უცოდინარი იყოს და ხელის მოწერა არ შეეძლოს.

— რა უყოთ მერე, რომ ხელს არ აწერს! ღმერთი უსხეულო სულია, მას არაფერი აქვს, და ამიტომ არ აწერს ხელს. — იმართლებენ თავს „წმინდა მგლები“ (უკაცრავად — „მამები“).


როგორც შემოაღწიწილიდან სჩანს, რაკი ხელი არა აქვს, „ყოვლის შემძლე ღმერთს“, არც ხელის მოწერა შეეძლება.

როგორც გადმოგვცემენ, ღმერთი თავის აზრს მოსე „წინასწარმეტყველს“ უკარნახებდა. ეს უკარნახებელი სრულიად უაზრით და უგრძობლად აფოთილებდა კალამს ბერგამენტის ქალაღლზე და ამგვარად შეიქნა ბიბლია.

— თუ ღმერთი უსხეულოა, მას არც ენა და ბაგე ექნება და როგორ შეეძლო კარნახი? — იკითხავს მკითხველი.

მაგრამ დაუშვათ, რომ შეეძლო. მაშინ მოსე ზეციურ აპარატის „ჩისტკაში“ უნდა მოეყვოლოთ და სისხლის სამართლის მილიციას უნდა გადაეცეთ მითვისებისა და „პაღლოვისათვის“ დიდი, „პაღლოვისათვის“, რადგან დაბადებაში არის ერთი დიდი ნაწილი, რომელსაც ეწოდება „წიგნი მოსესი“ და, მაშასადამე, სულ - წიკუბრულ მოსეს უფლია ნაშრომ-ნააზრევი მიუთვისებია. მერე რამდენი ბოროტმოქმედება შეიძლება მოყოლოდა ამ „წმინდანთა თაღლითობას“? მოსე რომ საბაოხო განათლების კოპისარიატში მოსულყო და მისი ნაშურტალი (ბოღიში — ნაქურტალი) მეთიოდ - ბიუროსთვის წაედგინა, ყუანასქნელი მას შრომის სკოლებისთვის იამხმარე სახილმძღვანელოდ მიიღებდა და სახელგამი ჯიდეგ ავანსს გამოუწერდა ჰონორარის ანგარიშში.

მაგრამ რას იტყვიან მოსეს. მოსე „მოსეს წიგნის“ შედგენაში და სახელის დარქმევაში არაფერ შუაში არ არის, რაოიან თვითონ მოსეს წიგნში არის დაწვრილებით მოთხრობილი ამბავი მოსეს გარდაცვალების შესახებ. მიცვალებულს კი როგორ შეუძლია თავის სიკვდილის ამბავი გვიამბოს? არა, ვერ დაიჯერებთ! აქ რაღაც ფანდია. აშკარა იშკილია, „საღვთო იშკილი“. ჩვენთვის აშკარა არის, რომ „მოსეს წიგნიდან“ მოსეს ისე შორს არის, როგორც ამის



— ღმერთი, მომეც მშვიდობიანი ძგ სავოდა...



— ა, შენი მამისული...

დამწერიდან ჩან-კაი-შის სახედარი.

იმევე დაბადებაში არის „ფსალმუნი“, რომელსაც დავითს მიაწერენ („ფსალმუნი დავითისა“) ამ „ნაშრომში“ დავითი ღმერთს ეოზნება: „შევალ უთალო სახლსა შენსა და თავანსა ვცემ ტაძარსა შენსა“ (ფს. 9,8). „დაიქეი გუბერნატორად!“

როგორ შევიდოდა ღვთის სახლში, როცა იმევე საღვთო წერილის გადმოკრებით ამ დროს ღმერთს სახლი არ ქონდა და ტაძრებში შენება მხოლოდ დავითის სიკვდილის შემდეგ დაიწყო? (და მაშასადამე, ხატები და უფლის სახლობა მანამდე ცის ქვეშ — სანავევზე ეყარენ).

სჩანს „სიტყვა ღვთისა ცოტა „წეიტყუილებს“.

„დაბადებაში“ არის აგრეთვე მოთავსებული „ქებათა-ქიბა“, რომელსაც ებრაელთა „წმინდა წინაპარს“ მეფე სოლომონს აკუთვნებენ.

დიდი გაცვეთილი „ბაზნიკი“ და „ლოთი - ფოთი ვინმე „წმინდანი“ კი უნდა იყოს ეგ სოლომონია:

„შენი მუტეკლი ფინჯანიკით არის მორგვალო, შენი სხეული ჩაფსკენილია“...

იძახის ენებით განხლებული „წმინდანი

— საკვირველია, რა კავშირი აქვს სოლომონის და მისი მხველების იტიმიური ცხოვრების პარანორაფიულ ეპიზოდებს საღვთო წერილთან?

ან ვისგან უნდა აიღო მაგალითი?

წმინდა აბრამი ცოლს აქირავებდა და შემდეგ „სასუფევლის დასამკვიდრებლად“ საკუთარ შვილს მოუნდობა ყელის გამოჭრა.

ლოტმა ღვინო „ჩაქნა“ და ისე გაიღემა, რომ გონება დაკარგულმა საკუთარი ქალიშვილები „გაიამასქნა“.

მეფე სოლომონს, რომელმაც „ღმერთს აუშენა პირველი ტაძარი კი 700 ცოლი ჰყავდა და 300 მხვეალი ნიშნად „ერთგულ“ და „ნაყოფიერ სამსახურისა“ უფლისა მიმართ ჩვენისა.

ქრისტეს პაპაჯანი — იუდა კი... ოლო, ის, რომ ჩვენს დროში ყოფილიყო „ვარანცივის“ ხილის ახლოს არც ერთ კაბიანს არ გაატარებდა და ხულოგობისათვის პირდაპირ გამსახლში გამოლბებოდა.





ეს ლავრენტი ხვიჩია —  
„ძმა-ბიჭური“ ბიჭია.  
ჭრიჭინა.

ფარცხანაყანევის (ჭუთ. ოლქი) თემალმასკომის თავმჯდომარე ლავრენტი ხვიჩიას ასე ესმის სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორება:



„ვინაიდან“ ბური ჩვენი არსებისა“ მღვდლებსაც უნდათ, ხოლო სახელმწიფო დღეს მათ არაფერს აძლევს, — ამიტომ თვითუღონა მოხახლემ ადგილობრივ მღვდელს უნდა აძლიოხ 4 - ნ ფუთი სიმინდი“ -ო.  
— იყავ კურთხეულ უკუნითი უკუნიასაძღე. ამიიინ! — ლოცავს ლავრენტის მღვდელი ამრეკლი ჭიბაშვილი.  
ანდა, რატომ არ დალოცავს! სულზე მოუსწრო მას ლავრენტის თავმჯდომარეობამ, თორემ მღვდელ ამრეკლი ჭიბაშვილს ჩავარდნილი ჰქონდა ჭიბი.

ნატურით გადასახადი ხომ მთავრობის მიერ ნებადართულია! — ფიქრობს თავისთვის ლავრენტი და თავს აიძვლებს: — ამიტომ ვერავინ დამწამებს რელიგიის დაცვას“-ო.

მაგრამ ლავრენტი ხსებებს მიმართაც „ძმა-ბიჭური ბიჭია“.

მაგ. როცა სოფლები გზების გასაკეთებლად გამოდიოდნენ სამუშაოდ, ლავრენტის:

სამუშაოზე არ გაიყვანა თავისი სიძე და „კეთილები“... გაზეთებშიაც ბევრჯერ გასწერეს, მაგრამ ფუჭია ვაკვეთილები.

თუ მოწაფე გაკვეთილს ვერ ითვისებს, იმ სკოლის კვილების გარეშე რჩება, (სულერთია, მოწაფედ აუწლდაც აღმასკომის თავმჯდომარე იყოს, ხოლო სკოლად — თვით აღმასკომი).

ზვილი კომპაზიკალი, —  
მამა კი — შავსიელი.  
შალიკო.

საჩხერეში ვინ არ იცნობს ხანამ შათაშვილს. იმ განთქმული ვაჭარია. მას, როგორც ქუთაისში და ტფილისში მოსკოვშიაც აქვს ქონება.

— „ლამის გასათევი სახლი მაქვს მხოლოდ“! — იტყვის ხოლმე ხაია, როცა მას ლაპარაკს ჩამოუტყდებენ ქალაქის ქონებაზე.

აი, ამ გარემოებამ განადა ის შავსიელი და, აგრეთვე, ხელი შეუშალა მის შვილს — უნივერსიტეტში შესულიყო.

ხაიმ დაფიქრდა. დაღონდა. ყურები ჩამოაშყირა და ცხვირი ძირს დაუშვა...

მაგრამ, აი, გაუეღვი ნათელმა აზრმა: — მოვხდნენ ოჯახის ფორმალურ გაყოფას; შვილს

სიმონს ცალკე გავუშვებ, და შემდეგ მას პლარ ეტყვიან უარს უნივერსიტეტში მიღებაზე!

ამის შემდეგ სიმონს განცხადება შეაქვს ადგილობრივ კომკავშირში და აცხადებს: „შავსიელ მამასთან გაწვევითილი მაქვს ყოველგვარი კავშირი“.

უჯრედში მაგრად გაუშინჯეს კბილი, მაგრამ პართულ ამხანაგების რეკომენდაციამ მაინც თავისი ჰქნა.

„კომკავშირელი“ სიმონ რხით შედის უნივერსიტეტში და თხოულობს „თავის უფლებას“.

— აკი თქვენ ეხლახან უარით გავისტუმრეთ, როგორც ვაჭრისა და შავსიელის შვილი? — უთხრეს მას უნივერსიტეტში. — ჩვენი პასუხი ეხლაც ისეთივეა, როგორც მაშინ იყო!

მაგრამ შემდგომ ორგანოების შეცდომაში შეყვანით, სიმონმა თავისი მაინც ვატიანა, — ის ეხლა პოლიტებნიკურ ინსტიტუტის მსმენელია.

— ასეა, შვილო; ხომ გაგიგონია, რომ იტყვიან:

რომელ ქვეყანაშიაც შეხვიდე, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო! კაცმა დრო უნდა მოახზაროს, თორემ თუ ამისი შინა არა აქვს, მისი საქმე წასულია! — უკეთხავეს სიმონს მამამისი ლექციებს ლექციების შემდეგ.

ო, მიხედეთ საწყალ „მარს“, —  
ამდენ მამაშელს როგორ მარს!  
უცხო.

იტყვიან: „შუბი ტომარაში არ დაიმალებოა“. ჩვენ ეშ არ გვეჯერა. თუ კი ფართლელულობა დაიმალება ცხენის საბძელში თივაში, რატომ შუბი ტომარაში არ უნდა დაიმალებოდეს?

თუ ვინმესთვის საეჭვოა ფართლის თივაში დამალვა, შეეკითხოთ ვანის (ჭუთ. ოლქი) კოლპერატივის ავანჩავანს მოსე ჭყონიას — თუ როგორ ხდება ასეთი ამბავი.

მოსე იმასაც ვიამბობთ, თუ როგორ შეიძლება კოლპერატევში კაცმა თავი მოუყაროს ყველა ანტი-საბჭოთა ელიმენტებს, როგორც არიან, მაგ. ძველი გვარდიელი, გამსახლის ხშირი სტუმარი. (ბუჭალატერი შ. კაპალეიშვილი) ვაჭარი, მეფახზე და მიკიტანი (შიხაკო ნამიჭეიშვილი), ჩარჩი, კულაკი და სხვა ძმანი მათნი. როცა რევიზიამ 1.300 მანეთი დანაკლისი აღმოაჩინა კოლპერატევში, მოსე ჭყონიას გაუტყვირდა:



— ამდენი ხანია ვჭამთ და ნუ თუ ამის მეტი არ არის დანაკლისი?

ვინ იცის, ეგებ რევიზია შეცდა. ეს იქიდანაც სჩანს, რომ მოსე ჭყონია ისევ აზის ვანის კოლპერატეუს და ამბობს:

არ მოვშორდები მანამდე,  
ხანამ უღვანა სულიო;  
ხანამ იგი არ ვახდებ  
ჩემს ხელით დამარხულიო.

ალბად ეს თქმა მალე აუსრულდება, — კოლპერატევი სულს დაფავს.



# ც ა თ ა უ ნ ა

ოთხშაბათ საღამოს „ტარტაროზი“-ს რედაქციაში არა-  
ჩვეულებრივი თათბირი გაიმართა.

— ამგვარად, ამხანაგებო, მე საჭიროდ მიმაჩნია საბჭო-  
თა აპარატის წმენდასთან დაკავშირებით, ჩვენმა რედაქ-  
ციამ მოახდინოს ზეციური აპარატების წმენდა.

— გავგზავნოთ მელუზა; გიორგი მთაწმინდელის საბა-  
რება სულ ზეპირად იცის! ვასწი! — წარმოათქვა ნიანგ  
მა, — ორ დღეში გამოკვლევა მზად უნდა იყოს.

და მეც პირდაპირი მარშრუტით ზეცისაკენ მოუსვი.

— თქვენი სახელი? — შევეკითხე მაცხოვარს.

— ქრისტე.

— გვარი?

— ნაზარეველი.

— მამის სახელი?

— მამის?... არ მახსოვს.

— როგორ თუ არ გახსოვს, შე რეგვენო! — წამოიძახა  
მამა-ღმერთმა, რომელსაც მოხუცებულობისაგან სახე  
ისე დამანჭოდა, რომ შემოკმედათ კი არა, შტეინახის  
ცდების ობიექტადაც აღარ ვარგოდა.



იოსებმა მოუქნია მიქელ-გაბრიელს ნაჯახი და ფრთა მოსჭრა

— მამის სახელი და ვინაობა ვერ გამოარკვეე? მაშ  
მე ვინა ვარ! — გაბრაზდა ღმერთი.

— იეგოვა!

— მერე ვისი მამა ვარ მე?

— რა ვიცი!

— მამა ღმერთს რომ მეძახიან, რათ მეძახიან არ იცი?  
შენი მამა ვარ, შე მუტრუკო შენა! — დაიღრიალა იეგო-  
ვამ და თან მომმართა: ჩასწერე: იესო იეგოვიწ ნაზარე-  
ველი.

— იეგოვა კი არა, საბაოს-ძე. თქვენი ნამდვილი სახელი  
საბაოა. — გაუსწორა მოსე წინასწარმეტყველმა და თან მე  
მომმართა:

— ჩასწერეთ — იესო საბაოვიწ ნაზარეველი.

— რა საბაო! რის ნაზარეველი? — წამოიძახა სული-  
წმინდამ, — ქრისტე რომ გაჩნდა, მაგ ისეთივე ბებრუხუნა  
და გამოყრუებული იყო, როგორც ახლა. ბავშვის გაჩენა  
კი არა, ფეხზე ვერ დგებოდა. იეგოვა კი არა, მთელმა  
ქვეყანამ იცის, რომ ქრისტე ჩემი და მარიამ ქალწულის  
შვილია. ჩასწერეთ თქვენს წიგნაკში: იოსუს სულისწმინ-  
დოვიწ ნაზარეველი.

— მარიამ ქალწულიო! გცოდნია რაღა! — წამოიძახა  
მიქელ-გაბრიელმა. — ქალწული კი არა, იერუსალიმისა  
და ზეთლეშის მთელ ელეთ-მელეთში მაკო როსკიპად იყო  
ცნობილი.

— ნე ისკარბლიაიტე, პაქალუსტა, თორემ ენატდელ-  
ში გიჩივლებ. — გადმოსძახა რეგისტრატორის მაგიდიდან  
ღვთის-შშობელობა.

— წადი შენი... ენატდელში კი არა, ხახვი არ გადა-  
მაჭრა. მიტომ იფრონცქები, რომ იქ იუდა ისკარიოტე-  
ლის და ქრისტეს კოლექტიური „ნაშა“ გვევლება. — მა-  
რიამ მაგდალინიელი. ვიცი, რომ ისიც შენისთანა „ქალ-  
წული ბოძანდება. როგორ ტრაბახობს სული წმინ-  
და ქრისტეს მამობას, როცა უსხეულოა და მარტო

სულს როგორ შეედლო ბავშვის გაჩენა? მე შევიპარე ერთ  
ღამეს მარიამთან და... ერთი სიტყვით ქრისტეს ერთად-  
ერთი კანონიერი მამა მე ვახლავარ. ამას საღმრთო წერი-  
ლიც ამტკიცებს. მაშ ჩასწერეთ: იოსუს გაბრიელოვიწ ნა-  
ზარეველი.

— რას მიედ-მოედებით! — დაიყვირა დურგალმა იოს-  
კამ (იოსებმა) და ზეზე წამოხტა. — ჩემს შვილს  
ითვისებთ? გონს მოდით, არამზადებო! ჩემი შვილი ჩემია  
და არა იეგოვასი, სული წმინდის, ან გაბრიელის... სად  
გვონიათ თქვენი თავი, ოფლით გამოზრდილი შვილის  
კონფესიაცისას რო მიშვებთ?

— იოსუს ოსიპოვიწ ნაზარეველი. — ჩაწერე, — მითხრა  
იოსებმა, — ჩაწერე, თორემ „თვითმშრომელთა კავშირ-  
ში“ ვიჩივლებ. — ვიმეორებ, ქრისტე ჩემი შვილია. — გაი-  
მეორა გაბრიელმა.

— ჩემია! — წამოიყვირა იოსებმა.

— შენი კი არა, ჩემია!

— მე მეკუთვინის!

— ჩემი შვილია....

— გაჩვენებთ ვისიც არის. — დაიყვირა ისევ იოსებმა  
და მიქელ-გაბრიელს ისე მაგრათ მოუქნია ნაჯახი, რომ  
მარცხენა ფრთა სახრესავით გადასხიბა. სული წმინდა კი  
ამ დროს მამა-ღმერთს თმაში ჩაფრენოდა და ქორისაგან  
მოტაცებულ წიწილივით პუტავდა.

ყველაფერი აირია.

ზეციურ ქაოსით შეშინებული, მარიამისაკენ გავეშურე.

— თქვენ მაინც გამოარკვეეთ, ვისი შვილია მაცხოვარი.

— აბა რა ვიცი, — მიპასუხა მან, — შე ახლაც არ ვაწარ-  
მოებ ჩემი „პაკლონიკების“ რეგისტრატურას და მაშინ —  
მით უმეტეს.

— მაინც არ გახსოვთ, ვისი შვილია?

— არ მახსოვს. მაგის გარდა სხვა ქმარშვილებიც მყაფ-  
და. ისევ ჩასწერეთ ჩემს სახელზე: — იესო მარიამოვიწ  
ნაზარეველი.

— ტარტაროზის ანკეტა მამის სახელის გარკვევას მო-  
ითხოვს.



სული წმინდა მამაღმერთს, თმაში ჩაფრენოდა და წიწილასავით  
„პუტავდა“

— როგორც ვინდათ, — მითხრა და საქმეთა მმართვე-  
ლის — პეტრე მოციქულის კაბინეტში წვევიდა.  
საბჭად დავრჩი.

— რა პასუხი გავცე ტარტაროზს? როგორი გამოკვლე-  
ვა მოვთავსო ქრისტეს შესახებ „ტარტაროზის“ საშობაო  
ნომერში?..

ჰმ..  
მადონას სახით მაინც არ ხატავდენ.

აბა როგორი „ქალწული“ და „ღედა-ღვთისა“ უნდა  
იყოს ისეთი ქალბატონი, რომელსაც „პაკლონიკების“  
ქარბი „ნაგრუხკიასაგან“ ისე არეგია ანგარიში, რომ თა-  
ვის პირმშო ვაჟის მამის ვინაობის გამოარკვევას ვეღარ  
ახერხებს?...  
**მელუზა.**




„ტარტაროზი“-ს მუკრიმი ნოვარი გომოვ პირველ იანვარს

მსუბუქი კავალი-სულიანი „ცუვბარკ“-ს მუკრიმი ნოვარი გომოვ პირველ იანვარს

# მ ი ი ლ ე ბ ა 1930 წლისათვის

## ხელისმოწერა

ყოველდღიურ მასიურ მუშურ გაზეთ



ყოველკვირეულ იუმორისტულ ჟურნალ  
„ტარტაროზი“-ს დამატებით.

ხელისმოწ. პირობები	ხელისმოწ. პირობები
ჟურნ. ტარტაროზის დამატებით:	უ ღ ა მ ა ტ ე ბ ო თ :
1 თვით . . . . . 70 კ.	1 თვით . . . . . 50 კ.
3 თვით . . . . . 2 მ.	3 თვით . . . . . 1 მ. 50 კ.
6 თვით . . . . . 4 მ.	6 თვით . . . . . 3 მ.
1 წლით . . . . . 8 მ.	1 წლით . . . . . 6 მ.

ყველა ხელისმოწერას შეუძლია შეღავათიან ფასეზონი მიიღოს ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი

# ტარტაროზი

რომელიც 1930 წლიდან გამოვა ფერადი საღებავებით და კარგ ქაღალდზე.

**ხელისმოწერა მიიღება:** გ.წ. „მ უ შ ა“-ს მთავარ კანტორაში (ჯორჯიაშილის . № 6),

ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის საგაზეთო ბიუროში (რუსთაველის პრ. № 10),  
ა-კ. ფ-ტ. ყველა კანტორაში,  
საკავშირო ბეჭდვითი სიტყვის საკონტრაგენტოს რკ. გ.წ. ყველა კოსტუმბო და იმ რეჟიმუნებულთან, რომლებიც აღჭურვილები არიან სათანადო მოწოდებით.

**ხელისმოწერა მიიღება 31 დეკემბრამდე.**

გ.წ. „მ უ შ ა“-ს გამომცემლობა.

## ზ რ ო მ ი ს ბ ი რ ჟ ა უ ი

(გათომი)

მეგრულიშვილის მივადექი:  
„გავეგზავნე სადმე!“  
მიპასუხა გაკვირვებით:  
„სად გაგზავნა, სად მე?“  
შენ აკაკის მიაშურე,  
ცანიე შეილს გვარად,  
შეიძლება მან გაგზავნოს,  
თუ არ არის მწყრალოდ“.

აკაკიმ კი ასე პითხრა:  
„ჩემგან არის ვარი;  
სამუშაო თუ კი გინდა,  
ნახე შენ მხატვარი“.

და თან ენას მოუმოკლე,  
მოუჭირო გაზი“.

და აკაკი მივატოვე  
კითხვით განაბრაზი.

—:

„სამუშაო თუ კი გინდა  
ნახე ავთანდილი,  
იქნებ, ძმაო, მან გაგზავნოს  
ბედით კმაყოფილი“.

ამ პასუხით მე მხატვარიმა  
პითხრა მტკიცე ვარი.  
და თან მაგრად „ფორტოჩისა“  
მიიხურა კარი.

ავთანდილსა მივადექი  
შრომის მადებარი,  
მან კაკოზე მიმიითთა:  
— იმის საქმე არი.  
ორ წელს საქმე „თვერ“ იშოვე,  
არ გქონია ბედი“ ...

და მეც ენა არ დამიძრავს,  
(არის ცოტა ყბედი).  
ავთომ კაკოს და კაკომ კი  
მხატვარს მიმასწავლა,  
და მის შემდეგ ბირჟის კარზე  
მე შემსაგდა ვავლა.

ვერთე.



# ცნობათა მიღება

ქართული  
კომუნისტური  
პარტია

**მ-მ-ს (ს. ყვარელი).** — „სოფლის მასწავლებლის სიმღერა“-ში, სადაც თავისთავზე ლაპარაკობთ, მხოლოდ ეს აღვლია სიმართლე:

**ფეხები მუდამ სველი მაქვს, თავი გაყინულია.**

**ვერაფერს ვერ ვაზროვნებ, თავში მხოლოდ „ნულია“.** (თუ ნოლი?!).

გარდა ამისა, ისიც სიმართლეა, რომ ეს ლექსი ცუდი მიზანძევა ამავე თემაზე დაწერილ ლექსისა, რომელიც მოთავსებული იყო „ტარტაროზში“ თითქმის ასეთივე სათაურით: „სოფლის მასწავლებლის ლოცვა“. (იხ. ტარტაროზი № 105 1927 წ. 19 ივნისი, მე-2-ე გვერდი).

და, რომ თქვენ ამაში ეჭვი არ შეგვიდგოდეს, ჩვენ მოვიყვანთ ამონაწერს ორივე ლექსიდან:

**სიცოცხლე მგონი მამამრო ცხვირი, მივდი-მოვდივარ აღმა და დაღმა.**

**ჩემს პალტოს ათვერ ვშებრუნე პირი ხან უკუღმა და ხან ისევ წაღმა.**

ასე სწერია „ტარტაროზი“-ს დასახელებულ ნომერში; თქვენ კი თქვენს ლექსში ასე იმეორებთ:

**ქარიც მაგრად უბერავს,**

**პალტოც გადავებრუნეთ...**

ჩვენც ბევრი ვაბრუნეთ ეს ლექსი და ბოლოს გოდრი-საკენ გადავებრუნეთ.

**შმაბს (აქვე).** — ჩვენ შევესრულეთ თქვენი თხოვნის ერთი ნაწილი, რომ მასალა შეგვემოკლებინა, გაგვეშალა-შინებინა და, (მეორე თხოვნა) — ისე გაგვეშვა. მაგრამ პირველი თხოვნის შესრულების შემდეგ, დასაბეჭდი აღარაფერი დარჩა და რა დაგვებეტდა!

**კანჯარის (თხინვალი) და შურსიძის (ბორჯომი).** — ორივეს პასუხს ერთად იმიტომ გაძღვევთ, რომ პასუხი ორივესთვის ერთნაირი გვაქვს. (არც შეიძლება სხვანაირი ყოფილიყო).

ჩვენ საესებით გეთანხმებით, რომ „ფსევდონიმი უნდა ახასიათებდეს ავტორს“-ი (აღბად თქვენც ვახსიათებს თქვენი ფსევდონიმი).

მაგრამ, რატომღაც, ჩვენ გვგონია, რომ თქვენ არ გესმით ამ სიტყვების (თქვენი ფსევდონიმების) შინაარსი. აგისხნით, გადაშალეთ „ვეფხვის ტყაოსანი“ და იქ ნახათ:

**მოვიდა ჯოგი ნადირთა**

**ანგარიშ მიუწდომელი.**

**ირემი, თხა და კანჯარნი,**

**შურსიძი მალა მსტომელი.**

ამის შემდეგ გადაშალეთ „ვეფხვის ტყაოსანის“ უკანასკნელი ფურცლები, სადაც სიტყვარაა მოთავსებული, და გაიგებთ, რომ: **კანჯარი** ნიშნავს — **ველურ ვირს** (იხ. საბა სულსან ორბელიანის ლექსიკონი), ხოლო **ქურციკი** — **გარეულ თხას**.

**ჯიმიტიელ გლმეს (ბაღიაური, კას. ოლქი).** — შეკაი კაცო, შარშანდელი გადაწყვეტილება — ეპოსათვის შენობის აგების შესახებ, წელს რომ შეესრულებინათ, — მაშინ ხუთწლიან გეგმაში რა უნდა გაეკეთებინათ? დააცადეთ. აღბად ხუთწლიან გეგმაში აქეთ შეტანილი. გარდა ამისა, რას უბრებთ კერძო ბიზნის, რომლის შენობაშიაც დღეს „ეპო“ არის? კაცს ხომ ვერ დაუშრობთ შემოსავლის წყაროს.

**ო.ხ. — პირელს.** რატომ არ იწერებთ, თუ სად ხდება ეს ამბავი:

**მალაზიაა მეექვსე,**

**ნოქარი — ახათიანი.**

**თავის თავს გმირს ეძახის**

**ვირ-ძალით ას-ათიანი.**

**ნაცნობებს ბლომად სთავაზობს**

**უველი არის თუ კარაქი.**

**ტარტაროზ, მონახულდე,**

**ეს არ გვეგონოს არაკი.**

მოვინახულებდით, მაგრამ მისამართს არ გვაწვდით.

**„იმ დამხმარს“ (ხაშური).** — ყველა ყურის ასაწევს რომ ყური აფუწით, დაგვერწმუნეთ, თქვენც მათ რიცხვში აღმოჩნდებოდით. საჭიროა ნაკლები წყალი და ბეტი მარილი.

**„მოწინა“-ს (ქუთაისი).** — ნუ თუ ისეთი გულადია ჯანმრთელობის ქ. განყ. მოლარე ივანე, რომ ამ ვახუშტულ წმენდის დროს:

**საქმე გააქიანუროს —**

**მას ამაში არ ჰყავს ტოლი.**

**(კიდევ კარგი — მოლარეა,**

**და არა აქვს დიდი როლი,**

**თორემ მისგან მოჭერილი**

**გვექნებოდა ყელში რგოლი).**

**აჯანჯალის (ვანი, ქუთ. ოლქი).** — თუმცაღა თქვენი კოოპერატივის გამგეზე დღევანდელ „ჯოჯობნეთის კუთხე“-ში მოთავსებულია წერილი, მაგრამ ამასაც დაგებეტდავთ:

**კოოპერატივს განაგებს**

**ჩვენი მოხე ჭყონია**

**და ეს კოოპერატივი**

**მას თავისი ზგონია.**

**სოფლის ქალებს უყვირის:**

**— შეაყოლე, ქალო შინ!..**

**ყიფიანის ცოლს ეტყვის:**

**— შა, პური და კალოში!**

**დ. ხონელს (ხონი, ძაფ-საღები ქარს.)** — ლექსს სამკითხველოზე ასე ათავებთ:

**შიგ გაზეთებს ვეღარ ნახათ,**

**არის მართო ორი ნარდი.**

**გაზეთების წაკითხვაზე**

**მგონი არვის არ აქვს დარდი.**

თუ გაზეთები არ არის, მაშ რა ჰქნან! აღარც ნარდი ითამაშონ?

**ტარტაროზისძის (სამტრედია).** — თქვენი პირველი ტყუილი ის არის, რომ თქვენ არა ხართ ტარტაროზის ძე, რადგან ტარტაროზს შვილი არა ჰყავს. ნუ თუ ასეთივე სიმართლეა, რასაც იწერებით კოოპერატივის მოლარეზე:

**ანაურობას არ იშლის,**

**უყვარს ფეხების მაკუნწი.**

**კოლია მიქელაძეა,**

**თავში უქენი კაკუნი.**

**(კაკუნით რასა გავხდებით,**

**სჯობს ზურგზე ვუქნათ ბრაგუნის!).**

**წიწნარელს (ქუთაისი, აზრეშ. ძაფ-საღები ქარხანა).** — შეკაი კაცო, ყოველთვის სიზმარში ხომ არა ხარ, რომ სიზმრის ახსნებს გვეგზავნი?

**„მაწიბს“ (მესტია, სვანეთი).** — მოიწერეთ უფრო საყურადღებო ამბები. ეს წერილმანია:

**აღმასკომში შემანქანეთ**

**არის ვინმე ნატო ქალი.**

**ასე ფიქრობს თავის თავზე —**

**თითქოს არის ქვეყნის თვალი.**

თუ ასეთი შეხედულება მხოლოდ მას აქვს თავის თავზე და არა სხვებს (მათ შორის — თქვენც) მასზე, — ეს არაფერია; იფიქროს რამდენიც უნდა; ამის უფლებას ვერ წაუვართმევთ.

**„ნამს“ (სამტრედია).** — იმ აბაზთან ერთად (ყოთაში რომ ჩაგვდიათ) ორი შაურციც გეზარალათ (ამ წერილზე დაკრული მარკის ფასი). მაგრამ გულს რომ მოლად არ დაგაკლდესთ, ებეტდავთ შემდეგს:

**ჩამოვიდა ბარგი-ბარხანით ისიდორე ქანქაძე. ყველას გამარჯობა გვითხრა და თავი დაბლა დაგვიკრა... თურმე, ნუ იტყვით, გაუწმენდათ სამსახურიდან და ეხლა უველასთან კადრულობს დალაპარაკებას.**

**დაიბ, ასე იცის წმენდამ.**





ჰრისტა: — წინედ ჩემი დღესასწაულების დროს „ბარტაროზი“ მაინც მისხენიებდა და პირველ გვერდზე მხატავდა.... ეხლა კი მასაც დავავიწყდი — პირველს გვერდზე ჩემს მაგიერ ტრესტი გამოუხატავს.